



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შინაარსი

კარი პირველი: ზოგადი დებულებები.....	5
თავი პირველი: უნივერსიტეტის სტატუსი.....	5
მუხლი 1. უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი	5
მუხლი 2. დაწესებულების სახე.....	5
თავი მეორე: უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები	5
მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები	5
მუხლი 4. უნივერსიტეტის ამოცანები.....	6
კარი მეორე: უნივერსიტეტის მართვა	6
თავი პირველი: ზოგადი დებულებები	7
მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები.....	7
თავი მეორე: უნივერსიტეტის პარტნიორთა კრება.....	7
მუხლი 6. პარტნიორთა კრების სტატუსი და შემადგენლობა	7
მუხლი 7. პარტნიორთა კრების უფლებამოსილება	7
თავი მესამე: უნივერსიტეტის პრეზიდენტი.....	7
მუხლი 8. პრეზიდენტის უფლებამოსილება.....	7
მუხლი 9. პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება.....	8
მუხლი 10. პრეზიდენტის აპარატი	8
თავი მეოთხე: უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი	9
მუხლი 11. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება.....	9
მუხლი 12. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება და ანგარიშვალდებულება	10
მუხლი 13. პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო	10
თავი მეხუთე: უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში	10
მუხლი 14. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება	10
მუხლი 15. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება და ანგარიშვალდებულება	12
მუხლი 16. ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო.....	12
თავი მეექვსე: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.....	12
მუხლი 17. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა	12
მუხლი 18. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება	13
მუხლი 19. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი.....	13
თავი მეშვიდე: უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.....	13
მუხლი 20. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო	13

მუხლი 21. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა	14
მუხლი 22. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილება.....	14
მუხლი 23. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი.....	14
თავი მერვე: აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი კომპეტენცია.....	15
მუხლი 24. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება.....	15
მუხლი 25. ერთობლივი სხდომა	15
თავი მეცხრე: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	15
მუხლი 26. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	15
მუხლი 27. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები	15
მუხლის 28. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და ქვემდებარეობა	16
კარი მესამე: უნივერსიტეტის სტრუქტურა.....	16
თავი პირველი: ზოგადი დებულებები	16
მუხლი 29. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.....	16
თავი მეორე: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა	17
მუხლი 30. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა	17
მუხლი 31. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები	17
მუხლი 32. სკოლის სტრუქტურა.....	17
მუხლი 33. სკოლის დეკანი.....	17
მუხლი 34. სკოლის საბჭო.....	18
თავი მესამე: ბიბლიოთეკა.....	19
მუხლი 35. ბიბლიოთეკა	19
მუხლი 36. ბიბლიოთეკის ფუნქციები.....	19
მუხლი 37. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	19
თავი მეოთხე: დამხმარე სტრუქტურული ერთეულები	20
მუხლი 38. საქმისწარმოების სამსახური	20
მუხლი 39. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	20
მუხლი 40. აკადემიური პროცესის მართვის სამსახური	20
მუხლი 41. კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური.....	21
მუხლი 42. სტრატეგიული განვითარების სამსახური.....	21
მუხლი 43. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	21
მუხლი 44. მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	22
მუხლი 45. იურიდიული სამსახური	22

მუხლი 46. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	22
მუხლი 47. საფინანსო სამსახური	23
მუხლი 48. სამეურნეო სამსახური	23
მუხლი 49. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	23
მუხლი 50. უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრი	24
მუხლი 51. საგამოცდო ცენტრი	24
კარი მეოთხე: უნივერსიტეტის პერსონალი	24
მუხლი 52. უნივერსიტეტის პერსონალი	24
თავი პირველი: უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი	24
მუხლი 53. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობა	24
თავი მეორე: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	24
მუხლი 54. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობა	24
მუხლი 55. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი	25
მუხლი 56. პროფესორის ატესტაცია	25
თავი მესამე: დამხმარე პერსონალი	26
მუხლი 57. დამხმარე პერსონალის შემადგენლობა	26
თავი მეოთხე: მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი	26
მუხლი 58. მოწვეული პერსონალის შემადგენლობა	26
მუხლი 59. სამეცნიერო პერსონალი	26
კარი მეხუთე: სტუდენტი	26
თავი პირველი: სტუდენტის სტატუსი	26
მუხლი 60. სტუდენტის სტატუსის მოპოვება	26
მუხლი 61. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	27
მუხლი 62. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	27
თავი მეორე: სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები	28
მუხლი 63. სტუდენტის უფლებები	28
მუხლი 64. სტუდენტის ვალდებულებები	29
მუხლი 65. სტუდენტური ომბუდსმენი	29
კარი მეექვსე: დასკვნითი დებულებები	29
მუხლი 66. დებულებაში ცვლილებების შეტანა	29
მუხლი 67. უნივერსიტეტის პრეზიდენტი	29

კარი პირველი: ზოგადი დებულებები

თავი პირველი: უნივერსიტეტის სტატუსი

მუხლი 1. უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (შემდგომში - დაწესებულება/უნივერსიტეტი) არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოქმედებს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა - „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის სახელწოდების აბრევიატურაა GAU. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #10.
3. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშ(ებ)ი და ოფიციალური ვებგვერდი - www.gau.edu.ge.
4. უნივერსიტეტი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სამართლებრივი აქტების, დაწესებულების წესდებისა და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. დაწესებულების სახე

1. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სამი საფეხურის უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად, მისი სახეა - უნივერსიტეტი.

თავი მეორე: უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები

1. უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:
 - ა) ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო სივრცეში ცოდნის შექმნას, შენახვას და გადაცემას;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში;
 - გ) უზრუნველყოს მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალების ჩამოყალიბება;
 - დ) უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების ხელშეწყობა;
 - ე) აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებაში;
 - ვ) განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის შედეგების ინტეგრირება უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში;
 - ზ) კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის წარმოებით და მის ფარგლებში ხელი შეუწყოს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების განმტკიცებას.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ამოცანები

1. წინამდებარე დებულების მე-3 მუხლში გათვალისწინებული მიზნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ამოცანებია:
 - ა) უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება, განვითარება და მოდერნიზაცია;
 - ბ) მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც გამომუშავებული ექნება პროფესიული ჩვევები, პროფესიული გამბედაობა და თავს გაართმევს მის წინაშე დასმულ პრაქტიკულ ამოცანებს;
 - გ) ქვეყნის შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;
 - დ) საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
 - ე) უნივერსიტეტის ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში;
 - ვ) ეროვნულ და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელშეწყობა;
 - ზ) საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
 - თ) მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა;
 - ი) ეროვნულ და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
 - კ) საუნივერსიტეტო კვლევითი პოტენციალის მხარდაჭერა და განვითარება;
 - ლ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო სტანდარტების დანერგვა და განვითარება;
 - მ) აკადემიური კეთილსინდისიერების და აკადემიური თავისუფლების სტანდარტების განმტკიცება და უზრუნველყოფა;
 - ნ) სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობის გაზრდის, კვლევის კომერციალიზაციის და გავრცელების მიზნით კონტაქტების გაზრდა კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, სხვა არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან;
 - ო) უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
 - პ) საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება;
 - ჟ) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;
 - რ) სტუდენტთათვის სწავლის თანაბარი პირობების შექმნა;
 - ს) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
 - ტ) უნივერსიტეტში ისეთი პირობების შექმნა და საქმიანობის განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.
 - უ) სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება.

კარი მეორე: უნივერსიტეტის მართვა

თავი პირველი: ზოგადი დებულებები

მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):
 - ა. პარტნიორთა კრება;
 - ბ. პრეზიდენტი;
 - გ. პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
 - დ. ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
 - ე. აკადემიური საბჭო;
 - ვ. სამეცნიერო საბჭო;
 - ზ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი მეორე: უნივერსიტეტის პარტნიორთა კრება

მუხლი 6. პარტნიორთა კრების სტატუსი და შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება.
2. პარტნიორთა კრების შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების წესდებით.

მუხლი 7. პარტნიორთა კრების უფლებამოსილება

1. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია:
 - ა. დანიშნოს და გაათავისუფლოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
 - ბ. უნივერსიტეტის პრეზიდენტის წარდგინებით, დანიშნოს და გაათავისუფლოს უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანი;
 - გ. დაამტკიცოს უნივერსიტეტის მისია, უნივერსიტეტის დებულება, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
 - დ. დაამტკიცოს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
 - ე. დაამტკიცოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
 - ვ. განახორციელოს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

თავი მესამე: უნივერსიტეტის პრეზიდენტი

მუხლი 8. პრეზიდენტის უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია პრეზიდენტი.
2. პრეზიდენტი წარმოადგენს უნივერსიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
3. პრეზიდენტი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ წესდების, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებისა და უნივერსიტეტის წინამდებარე დებულების მიხედვით.

4. უნივერსიტეტის პრეზიდენტი:

- ა) უნივერსიტეტის სახელით, პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით, დებს გარიგებებს და შეთანხმებებს, მათ შორის ხელშეკრულებებს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, უნივერსიტეტსა და თანამშრომლებს შორის;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შიდა საუნივერსიტეტო აქტებს;
- გ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას და ზედამხედველობს მის ეფექტურ განხორციელებას პირველ ვიცე-პრეზიდენტთან, სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში ვიცე-პრეზიდენტთან, აკადემიურ საბჭოსთან და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების დეკანებთან ერთად;
- დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და ამ დებულების შესაბამისად;
- ე) საქართველოს შრომის კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით, იწვევს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორებს;
- ვ) ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ყველა სხვა თანამშრომელს, პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით, საქართველოს შრომის კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად;
- ზ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლის დეკანის წარდგინებით, პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების ხელფასს;
- თ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელთა ხელფასს, პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით;
- ი) პარტნიორთა კრებას დასამტკიცებლად წარუდგინს პირველი ვიცე-პრეზიდენტის, სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში ვიცე-პრეზიდენტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანის კანდიდატურებს;
- კ) ამტკიცებს უნივერსიტეტის „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების და შეფასების სისტემის“ განმსაზღვრელ დოკუმენტს.
- ლ) ახორციელებს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

5. პრეზიდენტი კონტროლს უწევს წინამდებარე დებულების განხორციელებას.

მუხლი 9. პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს პარტნიორთა კრება დაწესებულების წესდების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე.

მუხლი 10. პრეზიდენტის აპარატი

1. პრეზიდენტს თავისი საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს აპარატი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პრეზიდენტის ასისტენტი და მდივანი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი.
2. პრეზიდენტის აპარატის უფლებამოსილება განისაზღვრება „პრეზიდენტის აპარატის დებულებით“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს პრეზიდენტი.

თავი მეოთხე: უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი

მუხლი 11. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის საქმიანობას ფინანსურ, მატერიალურ, ადმინისტრაციულ და ადამიანური რესურსების სფეროში.
2. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი:
 - ა) ახორციელებს უნივერსიტეტის მენეჯმენტის კონტროლს და ბიზნეს პროცესების წარმართვას;
 - ბ) ახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული პერსონალის ზედამხედველობას, ხელმძღვანელობას და შეფასებას მართვის ეფექტურობისა და შესაბამისი შედეგების მიღწევის მიზნით;
 - გ) ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ თვითშეფასებას, თვითკორექტირებას და კორპორატიული კულტურის განვითარებას;
 - დ) უზრუნველყოფს აკადემიურ თავისუფლებას, ინსტიტუციურ ავტონომიურობასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემაზე დამყარებულ მართვას და შესაბამის საკადრო პოლიტიკას;
 - ე) ხელმძღვანელობს გრძელვადიან და მოკლევადიან დაგეგმარების პროცესებს და აანალიზებს შედეგებს;
 - ვ) ხელს უწყობს და განავითარებს უნივერსიტეტის შესაძლებლობებს სამეწარმეო აქტივობების განხორციელების მიმართულებით;
 - ზ) აყალიბებს რჩევებს, იძლევა მითითებებს მოსალოდნელ ტენდენციებზე და პრობლემებზე და ხელმძღვანელობს მათზე დაყრდნობით დაგეგმარება - გადაგეგმარების პროცესებს;
 - თ) განახორციელებს ბიუჯეტის მომზადებას, ანალიზს, შესრულებას და ანაწილებს სკოლების და საუნივერსიტეტო ფუნქციების განხორციელების საჭიროებებისა და მოთხოვნების საფუძველზე;
 - ი) აყალიბებს ფინანსურ და ოპერაციულ სტრატეგიებს, უძღვება კრიზის მენეჯმენტს, რითაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური მისიის შესრულებას;
 - კ) ნიშნავს შიდა ან გარე აუდიტს და განსაზღვრავს და წარმართავს ფინანსურ და ფისკალურ პოლიტიკას;
 - ლ) უზრუნველყოფს აღრიცხვიანობის შიდა პროცედურების შემუშავებას და იმპლემენტაციას;
 - მ) ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინოვაციურ განვითარებას აკადემიური, ტექნოლოგიური გაძლიერება-მოდერნიზაციის გზით;
 - ნ) განახორციელებს უნივერსიტეტის რესურსების მენეჯმენტს, განიხილავს და ამტკიცებს მდგრადობისა და განვითარების ინიციატივებს დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისათვის;
 - ო) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბიზნეს აქტივობებს და საგანმანათლებლო საქმიანობისგან განსხვავებულ, დამხმარე, კომერციული ხასიათის აქტივობების მართვას;
 - პ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის და მის მფლობელობაში არსებული ობიექტების დაცვას, განახორციელებს უსაფრთხოების მენეჯმენტს და საგანგებო სიტუაციების მართვას;

- ჟ) ხელს უწყობს უნივერსიტეტის მთელი სისტემის სინქრონულ მმართველობას და არის მასზე პასუხისმგებელი;
- რ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას მისიის მხარდამჭერი ღონისძიებების, ოპერატიული სრულყოფისა და ხარისხიან მომსახურებაზე ფოკუსირების გზით;
- ს) უნივერსიტეტის ეფექტურობისა და ეფექტიანობის მიზნით განახორციელებს სტრატეგიული ინიციატივების ანალიზს და ახდენს მათ ადვოკატირებას;
- ტ) ზრუნავს ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურისა და სისტემების გაუმჯობესებაზე მართვის მაღალი კულტურის დაფუძნების მიზნით;
- უ) შეიმუშავებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მათი შრომის ანაზღაურების წესს და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის პრეზიდენტს;
- ფ) ყოველწლიურად ამზადებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და პრეზიდენტის თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის პარტნიორთა კრებას;
- ქ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ერთწლიან სამოქმედო გეგმას;
- ღ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 12. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება და ანგარიშვალდებულება

1. უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს პარტნიორთა კრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის წარდგინებით.
2. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პარტნიორთა კრების წინაშე.

მუხლი 13. პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო

1. პირველ ვიცე-პრეზიდენტს თავისი საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს სამდივნო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე(ები) და მდივანი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით.
2. პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს უფლებამოსილება განისაზღვრება „პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს დებულებით“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

თავი მეხუთე: უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში

მუხლი 14. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება

1. ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში არის მთვარი კოორდინატორი, რომელიც წარმართავს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით და ინოვაციურ საქმიანობას, სასწავლო აკადემიური საქმიანობას და ამ სფეროებში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს.
2. ვიცე-პრეზიდენტი:

- ა) შეიმუშავებს და განავითარებს უნივერსიტეტის კვლევით სტრატეგიას, ხარისხის და კონტროლის მექანიზმებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში;
- ბ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მენეჯმენტზე;
- გ) ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს კვლევის დაგეგმვის, დამუშავებისა და რეალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და მიზნებთან შესაბამისობასა და რეალიზაციას;
- დ) სტრატეგიულად აკონტროლებს კვლევით პროგრამებს;
- ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად ეხმარება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს - სკოლებს, აკადემიურ პერსონალს, სამეცნიერო კვლევით ჯგუფებსა და კლასტერებს კვლევის პოლიტიკის, დაგეგმარების, ფინანსური წყაროების მოძიებასა და კონტაქტების გაღრმავებაში;
- ვ) შეიმუშავებს კვლევის განხორციელების წამახალისებელი ღონისძიებების სტრატეგიას და გეგმას უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული სფეროებისა და დისციპლინების, საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემური საკითხების შესაბამისად;
- ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკის მხარდაჭერას და შესაბამისი პროცესის იმპლემენტაციის მონიტორინგს;
- თ) ზრუნავს ინტერდისციპლინური კვლევების, სასწავლო პროგრამებისა და საქმიანობის განვითარებაზე;
- ი) ხელმძღვანელობს მრავალფეროვნების, სოციალური სამართლიანობისა და გარემოსდაცვითი საკითხების მხარდაჭერას კვლევების წარმოებაში, რითაც ზრუნავს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის გაძლიერებაზე კვლევისა და სწავლების მეშვეობით;
- კ) ახორციელებს კვლევის კომერციალიზაციის და გავრცელების მხარდაჭერას;
- ლ) აძლევს რეკომენდაციებსა და მითითებებს აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სამეცნიერო პერსონალს, სტუდენტებს და კვლევითი კომპონენტის განმახორციელებელ სტრუქტურებს, მათი კვლევითი გეგმების შემუშავებისა და საქმიანობის დროს უნივერსიტეტის მიზნებიდან და პრიორიტეტებიდან, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და მეწარმეობის ინტერესებიდან გამომდინარე;
- მ) ხელმძღვანელობს კვლევის შედეგად უნივერსიტეტში ან მისი მონაწილეობით შექმნილი ცოდნის გადაცემას და პოპულარიზაციას საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის;
- ნ) ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს ძლიერი და დინამიური სამეცნიერო და სასწავლო აკადემიურ პროცესის მიმდინარეობას უნივერსიტეტში;
- ო) აძლევს მითითებებს აკადემიურ პერსონალს და შესაბამის პირებს აკადემიური პროგრამების შემუშავებაში, საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვაში და სწავლების ხარისხის შეფასებაში;
- პ) ხელმძღვანელობს სწავლის შედეგების შეფასების რეგულაციების შემუშავებას და უზრუნველყოფის პროცესს;
- ჟ) უზრუნველყოფს ყველა დონეზე აკადემიური ხედვის განვითარებას და რეალიზაციას ბაზარზე და საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული სამომავლო აკადემიური პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის;
- რ) ეხმარება და აკონტროლებს სასწავლო პროცესისა და აკადემიური პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში ჩართულ პირებს და სტრუქტურებს გარე და შიდა რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებით;

- ს) ადვოკატორებს და ხელს უწყობს ხარისხიანი სწავლების, სწავლის მიზნებისა და შედეგების განხორციელებას;
- ტ) ხელმძღვანელობს პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი კვლევების წახალისებას, პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფას კვლევის პროცესში;
- უ) უძღვება კვლევის შედეგებისა და ზოგადად მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებას;
- ფ) თანამშრომლობს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან - სკოლებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და შესაბამის თანამდებობის პირებთან საერთო მიზნების მისაღწევად სამეცნიერო - კვლევით, ხარისხის უზრუნველყოფის და მასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ქ) წარმართავს და აკონტროლებს კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სამსახურის საქმიანობას;
- ღ) აწვდის სრულ, დროულ და ზუსტ ინფორმაციას უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებს და თანამდებობის პირებს სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ;
- ყ) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს.

მუხლი 15. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე გამწესება და ანგარიშვალდებულება

1. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში თანამდებობაზე ნიშნავს პარტნიორთა კრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის წარდგინებით.
2. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პარტნიორთა კრების წინაშე.

მუხლი 16. ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო

1. ვიცე-პრეზიდენტს თავისი საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს სამდივნო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ვიცე-პრეზიდენტის თანამშემწე(ები) და მდივანი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით.
2. ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს უფლებამოსილება განისაზღვრება „ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს დებულებით“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

თავი მეექვსე: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

მუხლი 17. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭო არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კოლეგიალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიურ პოლიტიკას.
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წევრები აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების საბჭოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით.
3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით. ბიზნესის სკოლა საბჭოში წარმოდგენილია 3 წევრით, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის

სკოლა - 3 წევრით, მედიცინის სკოლა - 3 წევრით, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი სკოლები საბჭოში წარმოდგენილია 1 წევრით.

- კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს წევრ მინიმუმ სამ კაციან ჯგუფს. თითოეულ კანდიდატურას ცალ-ცალკე ეყრება კენჭი, არჩეულად ჩაითვლება (ჩაითვლებიან) საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი (კანდიდატები).
- აკადემიური საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

მუხლი 18. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.
- აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაა:
 - უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური სტრატეგიების განსაზღვრა;
 - უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება;
 - აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის წესისა და პირობების დამტკიცება;
 - პედაგოგიური დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა;
 - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცება;
 - აკადემიური წოდების მინიჭება;
 - ემერიტუსის სტატუსის მინიჭება;
 - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცება;
 - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება;
 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამტკიცება.

მუხლი 19. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

- აკადემიური საბჭოს სხდომებს უძღვება აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
- აკადემიური საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომას იწვევს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.
- აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- აკადემიური საბჭოში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით.
- აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება, მიიღება დადგენილების ფორმით.
- აკადემიური საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

თავი მეშვიდე: უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო

მუხლი 20. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო

სამეცნიერო საბჭო არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მხარდაჭერის კოლეგიალური ორგანო. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა შეაფასოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის რეალიები, განსაზღვროს სამეცნიერო -

კვლევითი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და დააყენოს მიზანშეწონილი შუამდგომლობები უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების და თანამდებობის პირების წინაშე.

მუხლი 21. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს - უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.
2. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედიან:
 - ა) უნივერსიტეტის ყველა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ცენტრის (ინსტიტუტის) დირექტორ(ებ)ი;
 - ბ) უნივერსიტეტის ყველა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულიდან - სკოლიდან, სკოლის საბჭოს მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი), სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება სამეცნიერო საბჭოში სკოლა წარმოადგინოს დარგის მოწვეულმა სპეციალისტმაც.

მუხლი 22. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილება

1. სამეცნიერო საბჭოს არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.
2. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებაა:
 - ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია;
 - ბ) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
 - გ) სამეცნიერო/კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
 - დ) უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი;
 - ე) კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტების განსაზღვრა და დაცვაზე ზედამხედველობა;
 - ვ) უნივერსიტეტის მასშტაბით პრობლემებზე და გამოწვევებზე დაფუძნებული კვლევითი პროექტების და საპროექტო წინადადებების შეფასება და მხარდაჭერა;
 - ზ) კვლევის თანამედროვე ნოვატორული მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
 - თ) უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსებასა და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება.

მუხლი 23. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი

1. სამეცნიერო საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ. სამეცნიერო საბჭოს სხდომას იწვევს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.
2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. სამეცნიერო საბჭოში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით.
4. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება, მიიღება დადგენილების ფორმით.
5. სამეცნიერო საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

თავი მერვე: აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი კომპეტენცია

მუხლი 24. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით მტკიცდება:
 - ა) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები;
 - ბ) კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტები;
 - გ) აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებში შემავალი სხვა საკითხები, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თუ ერთობლივ სხდომას და ერთობლივ გადაწყვეტილებას მოითხოვს აკადემიური საბჭოს ან/და სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ $\frac{1}{4}$.

მუხლი 25. ერთობლივი სხდომა

1. აკადემიურ და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივ სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში ან ერთობლივ სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ერთობლივი სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯამში სამეცნიერო და აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა თითოეული საბჭოდან.
2. ერთობლივ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით. ერთობლივი გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები.

თავი მეცხრე: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 26. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა, რომლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ვიცე-პრეზიდენტი უნივერსიტეტის სასწავლო - სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.

მუხლი 27. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- ა) ხელს უწყობს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებას;
- ბ) თანამშრომლობს საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
- გ) ახორციელებს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად უნივერსიტეტის საავტორიზაციო და სააკრედიტაციო პროცესის ორგანიზებას;

- დ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
- ე) ყოველწლიურად შუალედურ მონაცემებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს;
- ვ) ახორციელებს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას და მონიტორინგს;
- ზ) ზედამხედველობს აკადემიური პროგრამებისა და ცალკეული დისციპლინების/კურსების მოდერნიზაციის პროცესს;
- თ) უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მექანიზმების ხარისხის შესაბამისობას;
- ი) მონიტორინგს უწევს მულტილინგვისტური და პროფესიული ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიურ სრულყოფას და ხარისხის უზრუნველყოფას;
- კ) ახორციელებს მონიტორინგს კვლევის და მისი შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- ლ) მონაწილეობს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში;
- მ) უნივერსიტეტის სტრატეგიული სამსახურთან კოორდინაციით ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს.

მუხლის 28. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და ქვემდებარეობა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ვიცე-პრეზიდენტის წინაშე სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.

კარი მესამე: უნივერსიტეტის სტრუქტურა

თავი პირველი: ზოგადი დებულებები

მუხლი 29. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:
 - ა. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა;
 - ბ. ბიბლიოთეკა;
 - გ. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები;
2. დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
 - ა) საქმისწარმოების სამსახური;
 - ბ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
 - გ) აკადემიური პროცესის მართვის სამსახური;
 - დ) კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური;
 - ე) სტრატეგიული განვითარების სამსახური;
 - ვ) საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი;

- ზ) მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური;
- თ) იურიდიული სამსახური;
- ი) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
- კ) საფინანსო სამსახური;
- ლ) სამეურნეო სამსახური;
- მ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;
- ნ) უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრი;
- ო) საგამოცდო ცენტრი;
- პ) პრეზიდენტის სამდივნო;
- ჟ) პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო;
- რ) ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო;

თავი მეორე: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა

მუხლი 30. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

მუხლი 31. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებია:

- ა) ბიზნესის სკოლა
- ბ) სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა;
- გ) ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა;
- დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა;
- ე) მედიცინის სკოლა.

მუხლი 32. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურა განისაზღვრება სკოლის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (საპროფესორო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, აკადემიური დეპარტამენტი, პროგრამული მიმართულება და სხვ.) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
2. სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის საბჭო, სკოლის დეკანი.
3. სკოლის დებულებას დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის საბჭო. სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით.

მუხლი 33. სკოლის დეკანი

1. სკოლას ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს პარტნიორთა კრება პრეზიდენტის წარდგინებით.
2. სკოლის დეკანი:

- ა) უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურად მიმდინარეობას;
 - ბ) უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
 - გ) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს;
 - დ) შეიმუშავებს სკოლის განვითარების გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს;
 - ე) ქმნის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომისიას და ნიშნავს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს;
 - ვ) ქმნის სკოლის დროებით კომისიას დოქტორანტურასა და მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით;
 - ზ) ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას, რომელიც მოქმედებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;
 - თ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამას, სასერტიფიკატო სასწავლო მოდულს/კურსს;
 - ი) პრეზიდენტის წინაშე შუამდგომლობს სკოლაში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და მისი წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევასთან დაკავშირებით;
 - კ) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების (ლექტორების) ანაზღაურების ოდენობას პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს;
 - ლ) შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს;
 - მ) უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის იურიდიული კლინიკის დირექტორის კანდიდატურას;
 - ნ) ყოველწლიურად წარუდგენს სკოლის საქმიანობის ანგარიშს პარტნიორთა კრებას და სკოლის საბჭოს;
 - ო) უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს პერსონალის შეფასებაში;
 - პ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
 - ჟ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას;
3. სკოლის დეკანი ანგარიშვალდებულია სკოლის საბჭოს, აკადემიური საბჭოს, სამეცნიერო საბჭოსა და პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 34. სკოლის საბჭო

- 4. სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სკოლის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი.
- 5. სკოლის საბჭო:
 - ა) განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლაში შემუშავებულ, მოდიფიცირებულ უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
 - ბ) განიხილავს და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლაში შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს/პროექტებს;

- გ) განიხილავს და ამტკიცებს სკოლაში შემუშავებულ სასერტიფიკატო მოდულის/კურსის პროგრამას;
- დ) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;
- ე) ამტკიცებს სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას;
- ვ) ამტკიცებს სკოლის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
- ზ) დეკანის წარდგინებით აყალიბებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს (ინსტიტუტებს) და ამტკიცებს მათ დებულებებს;
- თ) განიხილავს სხვადასხვა სასწავლო ხასიათის პროექტებს;
- ი) უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და ამოცანების შესაბამისად განსაზღვრავს სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს და ინდიკატორებს;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პერსონალის შეფასებაში;
- ლ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და უნივერსიტეტის შიდა აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი მესამე: ბიბლიოთეკა

მუხლი 35. ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანამედროვე წიგნადი ფონდით, აგრეთვე ელექტრონული სახის და ციფრულ მატარებელზე, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ბაზებზე და სხვა არსებული რესურსებით უზრუნველყოფას.

მუხლი 36. ბიბლიოთეკის ფუნქციები

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციებია:
 - ა) საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე ქართული და უცხოური გამოცემებით, მათი დაცვა და მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - ბ) მონაცემთა ბაზების შექმნა, საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის შემდგომი უზრუნველყოფა;
 - გ) საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების დანერგვის ხელშეწყობა;
 - დ) საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ე) საერთაშორისო, მათ შორის, საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საქართველოში მოქმედ ფონდებთან, საელჩოებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
 - ვ) ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
 - ზ) საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის შემდგომი სრულყოფა;
 - თ) საბიბლიოთეკო ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის დანერგვა.

მუხლი 37. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით.

2. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

თავი მეოთხე: დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 38. საქმისწარმოების სამსახური

1. უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახური ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის პროცესის წარმართვას და ზედამხედველობას უწევს მათ დროულ განხილვას.
2. უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობა განისაზღვრება „უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის დებულების“, „უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის“ და „არქივის წარმოების წესის“ შესაბამისად, რომლებსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 39. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს დაწესებულებაში პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ამასთან, უზრუნველყოფს უნივერსიტეტს მაღალკვალიფიციური და მოტივირებული პერსონალით.
2. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობა განისაზღვრება „უნივერსიტეტის შინაგანაწესის“, „უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების“ და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად, რომლებსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 40. აკადემიური პროცესის მართვის სამსახური

1. უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ცენტრალიზებულად წარმართვას და ამზადებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შიდა საუნივერსიტეტო აქტების პროექტებს.
2. სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების შესაბამის სამსახურებთან და პერსონალთან კოორდინირებული მუშაობით და ზედამხედველობს მათ საქმიანობას.
3. უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
4. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში ვიცე პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 41. კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური

1. უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო წამახალისებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ფინანსების მოძიებაში ხელშეწყობა.
2. სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების შესაბამის სამსახურებთან/სტრუქტურებთან და პერსონალთან კოორდინირებული მუშაობით.
3. უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგიის“, „უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის და მექანიზმების“, „უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის დებულების“ შესაბამისად.
4. „უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის დებულებას“ ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 42. სტრატეგიული განვითარების სამსახური

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახური ახდენს უნივერსიტეტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საშუალებების იდენტიფიცირებას, მონაწილეობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაციაში, ხელს უწყობს მის განხორციელებას.
2. სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან - სკოლებთან, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა) კოორდინირებული მუშაობით.
3. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
4. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 43. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე. სამსახური ახდენს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას საგარეო ურთიერთობებში და ახორციელებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას.
2. სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან - სკოლებთან, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, და სხვა) კოორდინირებული მუშაობით.

3. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულების“ და „უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის“ შესაბამისად.
4. „საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულებას“ ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 44. მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური

1. მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური:
 - უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირების ამალეზას საუნივერსიტეტო საქმიანობაზე;
 - მონაწილეობს მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
2. სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან - სკოლებთან, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი, აბიტურიენტი და სხვა) კოორდინირებული მუშაობით.
3. უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
4. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 45. იურიდიული სამსახური

1. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივ უზრუნველყოფას.
2. იურიდიული სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „იურიდიული სამსახური დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 46. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

1. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციის სახვადასხვა საშუალებებით აღჭურვას და ახორციელებს მათ მუდმივ განახლებას. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მართვის სისტემების გამართულ და ეფექტურ ფუნქციონირებას.
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 47. საფინანსო სამსახური

1. უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტურ მართვას და ანალიზს.
2. საფინანსო სამსახურის უფლებამოსილება და სტრუქტურა განისაზღვრება „საფინანსო სამსახური დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 48. სამეურნეო სამსახური

1. უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:
 - ა. სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმართვა;
 - ბ. შენობა ნაგებობების განათების, გათბობის, ლიფტის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, კავშირგაბმულობის, მიწისქვეშა კომუნიკაციების, უსაფრთხოების და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
 - გ. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო ინვენტარით. სასაწყობო მეურნეობაზე კონტროლის განხორციელება;
 - დ. უნივერსიტეტის შენობა ნაგებობების, ეზოს, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა, დასუფთავება, ნარგავების მოვლა;
 - ე. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების შესახებ წინადადების მომზადება და წარდგენა.
2. სამეურნეო სამსახურის უფლებამოსილება და სტრუქტურა განისაზღვრება „სამეურნეო სამსახური დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 49. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

1. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და წესრიგს, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების და მატერიალური ფასეულობების დაცვას.
2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და პიველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 50. უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრი

1. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ზრუნავს ფართო საზოგადოებისათვის შრომის და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაბამისი სასერტიფიკატო პროგრამებისა და კურსების შეთავაზებაზე.
2. უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება „უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრის დებულების“ შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის და სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 51. საგამოცდო ცენტრი

1. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების მოთხოვნის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ქვიზი, წერილობითი შუალედური და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებას;
2. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის ერთიანი შიდა საგამოცდო სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რითაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას.

კარი მეოთხე: უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 52. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, დამხმარე და მოწვეული პერსონალი.

თავი პირველი: უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი

მუხლი 53. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება: პრეზიდენტი, პირველი ვიცე პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

თავი მეორე: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

მუხლი 54. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მას.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 55. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
4. პროფესორის თანამდებობაზე 3 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ექვსი წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.
5. პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები.
6. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. ასოცირებული პროფესორი თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
7. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.
8. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი 3 წლის ვადით.
9. ამ მუხლის მე-4-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პროფესიული ნიშნით კვალიფიციურმა პერსონალმა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
10. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.
11. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 56. პროფესორის ატესტაცია

1. პროფესორი, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.
2. ატესტაცია ტარდება პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საატესტაციო კომისიის მიერ.

3. ატესტაცია გულისხმობს პროფესორის მიერ განხორციელებული აკადემიური საქმიანობის შეფასებას.
4. ატესტაციის შედეგების საფუძველზე კომისია თითოეულ პროფესორთან დაკავშირებით ადგენს დასკვნას, რომლის საფუძველზე სკოლის დეკანის შუამდგომლობით, უნივერსიტეტის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე.
5. პროფესორის ატესტაციის პირობებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

თავი მესამე: დამხმარე პერსონალი

მუხლი 57. დამხმარე პერსონალის შემადგენლობა

უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი პირები.

თავი მეოთხე: მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი

მუხლი 58. მოწვეული პერსონალის შემადგენლობა

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე გარკვეული სამუშაოების განსახორციელებლად უნივერსიტეტში მოიწვიოს ნებისმიერი პირი.
2. უნივერსიტეტის მოწვეულ პერსონალს ძირითადად მიეკუთვნება მოწვეული ლექტორი, რომელიც საათობრივი ანაზღაურების წესით საკონტრაქტო საფუძველზე უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოს.

მუხლი 59. სამეცნიერო პერსონალი

უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად დასაქმებული ყავდეს სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ახორციელებს კვლევით საქმიანობას და დასაქმებულია კვლევითი ერთეულის შემადგენლობაში.

კარი მეხუთე: სტუდენტი

თავი პირველი: სტუდენტის სტატუსი

მუხლი 60. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში მხოლოდ:
 - ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
4. მაგისტრანტობის კანდიდატი გადის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე (გასაუბრებაზე).
5. მაგისტრატურაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში მხოლოდ:
 - ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
 - გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
6. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

მუხლი 61. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) აკადემიური შევებულება;
 - გ) ავადმყოფობა;
 - დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 - ე) სამხედრო სავალდებულო სამსახური;
 - ვ) ფინანსური დავალიანება.

მუხლი 62. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

გ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ეთიკის კოდექსის დარღვევა.

თავი მეორე: სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 63. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- გ) უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით (წესდებით) განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
- ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, მათ შორის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს მაგისტრატურის სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით გაერთიანებულია ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში;
- თ) საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- ი) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- კ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- ლ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- მ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

მუხლი 64. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის დისციპლინა, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია, გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით და რომლის სწავლება სავალდებულოა.
2. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულება და ეთიკისა და ქცევის კოდექსი.

მუხლი 65. სტუდენტური ომბუდსმენი

1. უნივერსიტეტში სტუდენტთა უფლებების დაცვას ზედამხედველობს სტუდენტური ომბუდსმენი.
2. სტუდენტური ომბუდსმენის უფლებამოსილება განისაზღვრება „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის წესდებით“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

კარი მეექვსე: დასკვნითი დებულებები

მუხლი 66. დებულებაში ცვლილებების შეტანა

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 67. უნივერსიტეტის პრეზიდენტი

ამ დებულებით განსაზღვრული უნივერსიტეტის პრეზიდენტი არის ამავედროულად შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორის ფუნქციები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით.